საკრებულოს იურიდიულ
საკითხთა კომისიის სხდომის
ოქმიN 12

ქ.თერჯოლა
ან. ჭანტურიძის ქ. №7

03 ოქტომბერი 2023 წ

სხდომას უძღვებოდა: იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ბიძინა ბუცხრიკიძე.**

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1.ბიძინა ბუცხრიკიძე, 2. ნინო ჩხიკვაძე, 3. ომარი ჯიხვაშვილი, 4. კობა კაცაძე, 5.ჯემალი ისაკაძე, 6. ეკა მაგრაქველიძე, 7.იზა მაგრაქველიძე; 8. დავით ცხადაძე; 9. რუსუდან კოვძირიძე;. 10. ნატალია ასათიანი;

სხდომას არ ესწრებოდა: გიორგი ბარათაშვილი;

სხდომას ასევე ესწრებოდა: საკრებულოს აპარატის უფროსი ხათუნა ნიკოლაძე,

კომისიის სიითი შემადგენლობა: 11 წევრი.
კვორუმი: 6 წევრი.
დამსწრე კომისიის წევრთა რაოდენობა: 10 წევრი.

კომისიის სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად'

სხდომის თავმჯდომარემ **ბიძინა ბუცხრიკიძემ** კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის ქ. თერჯოლის ტერიტორიაზე წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის ყოლის/ყოფნის წესის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის 7 დეკემბრის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ;(თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის N28-282327143 წერილი, 28.09.2023 წ);

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

2. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურილი ერთეულის - ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ „ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ;(თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის N28-282327143 წერილი, 28.09.2023 წ);

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

3. ,,საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“, საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი“ და საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მუნიციპალიტეტის კომპეტენციას მიკუთვნებულ სფეროში ჩადენილ სამართალდარღვევაზე ადმინისტრაციული სამართალდამრღვევის ოქმისა და საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმების, მათი შინაარსის, შედგენის, გამოყენების, ჩაბარებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 6 სექტემბრის №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 8, წინააღმდეგი-არცერთი;

<u>დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.</u>

<u>კომისიის სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად.</u>

1.მოისმინეს: მომხსენებელმა იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ კომისიის სხდომას გააცნო დადგენილების პროექტი ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის ქ. თერჯოლის ტერიტორიაზე წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის ყოლის/ყოფნის წესის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის 7 დეკემბრის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, მან კომისიის წევრებს გააცნო თუ რამ გამოიწვია დადგენილების ცვლილება:

თერჯოლის მუნიციპალიტეტის ქ.თერჯოლის ტერიტორიაზე არსებულ ტეერიტორიაზე წვრილფეხა და მსხვილფეხა პირუტყვის ყოფნის აკრძალვასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე რეაგირება და სამართალდარღვევის ოქმების შედგენა ,,საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 148 -ე მუხლის მე-4 ნაწილისა და 151 -ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად განახორციელოს ა(ა)იპ თერჯოლის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის მუნიციპალური სამსახურმა.“

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენას და სამართალდარღვევის საქმის განხილვას თერჯოლის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში აწარმოებს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმის შედგენაზე უფლებამოსილი პირი – ა(ა)იპ თერჯოლის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის მუნიციპალური სამსახურის სპეციალისტი, ოქმს უნდა ერთვოდეს შესაბამისი ფოტომასალა.

აზრი გამოთქვეს:
იზა მაგრაქველიძემ, ჯემალ ისაკაძემ;

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 10, წინააღმდეგი-არცერთი;

გადაწყვიტეს:

მუხლი 1. უნდა დამტკიცდეს დადგენილების პროექტი ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის ქ. თერჯოლის ტერიტორიაზე წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის ყოლის/ყოფნის წესის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის 7 დეკემბრის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მუხლი 2. საკრებულოს დადგენილების პროექტი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს და სხდომას დასამტკიცებლად.

2.მოისმინეს: მომხსენებელმა იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ კომისიის სხდომას გააცნო დადგენილების პროექტი ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურილი ერთეულის - ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ „ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

აზრი გამოთქვეს: რუსუდან კოვზირიძემ, ნატალია ასათიანმა;
კენჭისყრის შედეგები: მომხრე 10, წინააღმდეგი-არცერთი;

გადაწყვიტეს:

მუხლი 1. უნდა დამტკიცდეს დადგენილების პროექტი,, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურილი ერთეულის -ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ „ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

მუხლი 2. დადგენილების პროექტი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს და სხდომას დასამტკიცებლად.

3.მოისმინეს: მომხსენებელმა იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ კომისიის სხდომას გააცნო დადგენილების პროექტი ,,საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი", საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი" და საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" მუნიციპალიტეტის კომპეტენციას მიკუთვნებულ სფეროში ჩადენილ სამართალდარღვევაზე ადმინისტრაციული სამართალდამრღვევის ოქმისა და საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმების, მათი შინაარსის, შედგენის, გამოყენების, ჩაბარებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 6 სექტემბრის №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

სხდომის თავმჯდომარემ განუმარტა კომისიის წევრებს, რა ცვლილები განხორციელდა აღნიშნულ დადგენილებაში. გააცნო სამართლებრივი დასკნა ,რომელიც გადმოგზავნილი იქნა 2023 წლის 26 სექტემბერს მთავრობის ადმინისტრაციიდან.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობის სამართლებრივი ზედამხედველობის სამმართველოს მიერ განხორციელდა„საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი", საქართველოს კანონით„ნარჩენების მართვის კოდექსი" და საქართველოსორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" მუნიციპალიტეტის კომპეტენციას მიკუთვნებულ სფეროში ჩადენილ სამართალდარღვევაზე ადმინისტრაციული სამართალდამრღვევის ოქმისა და საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმების, მათი შინაარსის, შედგენის, გამოყენების, ჩაბარებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 6 სექტემბრის №19 დადგენილების სამართლებრივი ექსპერტიზა, რა დროსაც გამოვლინდა შემდეგი ხარვეზი:განსახილველი პრეამბულაში არ არის მითითებული №19 დადგენილების

საკანონმდებლო ნორმა, რომლის საფუძველზეც დადგენილების მე-2 მუხლით ხდება თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება.

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ძალადაკარგულად ცხადდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისათვის დადგენილი წესით. ამდენად, სავალდებულოა, დაცულ იქნეს „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნა და პრეამბულაში დამატებით დასახელდეს „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

კომისიის მიერ დადგენილებაში აღმოფხვრილ იქნა აღნიშნული ხარვეზები, რომელიც ხელახლა უნდა დამტკიცდეს საკრებულოს მიერ.

აზრი გამოთქვეს: რუსუდან კოვზირიძემ, კობა კაცაძემ;
კენჭისყრის შედეგები: მომხრე 10, წინააღმდეგი-არცერთი;

გადაწყვიტეს:

მუხლი 1. უნდა დამტკიცდეს დადგენილების პროექტი ,,საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“, საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი“ და საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მუნიციპალიტეტის კომპეტენციას მიკუთვნებულ სფეროში ჩადენილ სამართალდარღვევაზე ადმინისტრაციული სამართალდამრღვევის ოქმისა და საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმების, მათი შინაარსის, შედგენის, გამოყენების, ჩაბარებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 6 სექტემბრის №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მუხლი 2. დადგენილების პროექტი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს და სხდომას დასამტკიცებლად.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს იურიდიულ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე: